

**საბანკო მომსახურების პირობების დანართი N25 – „Platinum ბარათის“ სტანდარტული პირობები**

1. Platinum ბარათი (შემდგომში - ბარათი) არის სადებიტო ბარათი, რომელზეც დაშვებულია ოვერდრაფტი.
2. ანგარიშის მომსახურების საკომისიოები:
  - თვეში 45 ლარი/25 აშშ დოლარი/25 ევრო - ანგარიშის ვალუტიდან გამომდინარე.
3. ბარათთან დაკავშირებული საკომისიოები:

საკომისიოს დასახელება	საკომისიოს მოცულობა
თანხის განაღდების საკომისიო ს.ს. „პრივატბანკის“ ს.ს. „საქართველოს ბანკთან“ შერწყმისგან 60 დღის განმავლობაში:	ა) საქართველოს ბანკის/Georgian Card-ის სისტემაში ჩართული ბანკების სერვისცენტრში - 0.6% მინ. 0.5 ლარი; ბ) საქართველოს ბანკის ბანკომატში - 0%; გ) Georgian Card-ის სისტემაში ჩართული ბანკების ბანკომატში - 0.5% მინ. 0.2 ლარი; დ) სხვა ბანკის სერვისცენტრში და ბანკომატში - 2% მინ. 3 აშშ დოლარი.
თანხის განაღდების საკომისიო ს.ს. „პრივატბანკის“ ს.ს. „საქართველოს ბანკთან“ შერწყმისგან 60 დღის შემდეგ:	ა) საქართველოს ბანკის/Georgian Card-ის სისტემაში ჩართული ბანკების სერვისცენტრში - 0.6% მინ. 0.5 ლარი; ბ) საქართველოს ბანკის ბანკომატში - 0.2% მინ. 0.2 ლარი; გ) Georgian Card-ის სისტემაში ჩართული ბანკების ბანკომატში - 0.5% მინ. 0.2 ლარი; დ) სხვა ბანკის სერვისცენტრში და ბანკომატში - 2% მინ. 3 აშშ დოლარი.

4. ოვერდრაფტის წლიური საპროცენტო განაკვეთი:
  - ლარში არსებული ოვერდრაფტის შემთხვევაში - 26.4%;
  - აშშ დოლარში/ევროში არსებული ოვერდრაფტის შემთხვევაში - 20.4%;
5. ბარათის მოქმედების პერიოდში, ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, კლიენტის დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე, შეცვალოს ბარათის პირობები (მათ შორის საკომისიოს ოდენობა და ა.შ.).
6. წინამდებარე სტანდარტული პირობებით განსაზღვრული ურთიერთობის ფარგლებში, მხარეთა შორის კომუნიკაცია განხორციელდება საბანკო მომსახურების პირობებით განსაზღვრული კომუნიკაციის წესების შესაბამისად.